

სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი



# გაღმავსავსაღმავსი

ნომერი №3

- \* მონივრული ფორმები
- \* დაგვიანების თანაობა და ვითარება
- \* დაგვიანების პრაქტიკა
- \* მონივრული, ადრინდელი და ადრინდელი
- \* მონივრული საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო კანონმდებლობის კანონმდებლობის
- \* კონსტრუქციული-კონსტრუქციული



2017

**უინანსური და  
საქართველოში  
კონსულტაციის ცენტრი**



**გთავაზობთ:**

გულგრილი და საგადასახადო  
აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას  
და გულგრილი და საგადასახადო აღრიცხვის  
ანგარიშს ახლად შექმნილ და მოქმედ კომპანიებში

გულგრილი და საგადასახადო  
აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით

კომპანიის საქმიანობის უინანსურ ანალიზს და  
უინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დამუშავებას

ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონსულტაციის  
დამუშავებას





gamomcemeli: Sps 'biznes intel eqti-  
**Publisher: Business Intellect Ltd.**

**UDC (uak) 336.2+336.14(051.2)  
 g-145**

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikul i el .Jurnal i  
 `gadasaxadebi -

registrirebul ia #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

**Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi-**

mTavari redaqtori:  
 daviT j al aRonia,  
 sruli profesori  
**Chief Editor:**  
**David Jalagonia, Full Professor**

pasuxismgebel i mdivani  
 marine xubua, asociirebul i profesori  
**Executive Secretary:**  
**Marine Khubua, Associated Professor**

redaqtori: madona gel aSvili  
 asociirebul i profesori

**Editor:**  
**Madona Gelashvili, Associated Professor**

teqniki redaqtori:  
 nazi gomel auri

**Technical Editor:** Nazi Gomelauri  
 koreqtori: rusiko papaskiri  
 asociirebul i profesori

**Corrector:**  
**Rusiko Papaskiri, Associated Professor**

marketolog-konsultanti:  
 devi Sonia, asociirebul i profesori  
**Marketing Consultant:**  
**Devi Shonia, Associated professor**

iurist-konsultanti:  
 el guja qavTaraZe, asociirebul i profesori  
**Legal Advisor:**  
**Elguja Kavtaradze, Associated Professor**

el . Jurnal i „gadasaxadebi -  
 registrirebul ia  
 s.k. 404941300  
**E. Magazine "GADASAKHADEBI"**  
 (Taxes) is registered  
 ID code: 404941300

saredaqci o kol egi a  
**EDITORIAL BOARD**

Tavmj domare: profesori daviT j al aRonia  
**Chairman: professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi,  
 profesorebi:

**Doctors of Economics, Professors:**

zaur amil axvari	Zaur Amilakhvari
rezo gvel esiani	Rezo Gvelesiani
simon gel aSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapi Ze	Shota Veshapidze
l arisa Takal anZe	Larisa Takalandze
zurab l ipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vl adimer RI onti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengel ia	Temur Shengelia
mixeil cikvil aZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
el ene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJel ika krutova - xarkovi, ukraina  
 Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine  
 kerimovi el sever nariman oRli -  
 baqo, azerbaij ani  
 Kerimov Elsever Nariman Oglu - Baku, Azerbaijan

mimRebi: Sps 'biznes intel eqti-  
 mimRebis IBAN angariSis # GE30BR0000010679562042  
 mimRebis banki: s.s banki 'respublika-  
 bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**  
 Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)  
 Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA  
 Correspondent acc. No: 00195464  
 SWIFT: REPL GE 22  
 T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri Sesazi oar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvani l faqtetisa da monacemebis sizusteze pasuxismgebel ia avtorii.

**Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author**

gamodis TveSi erTxel , fasi 4 l ari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

**ISSN 1987-9156**



sarCevi / **Table of contents**

oficial uri dokumentebi / **Formal documents**

oficial uri dokumentebi (proeqti) ----- 5-24

instruqcia / **Instuotions** -----25-49

Semosavl ebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----  
----- 50-64



gadasaxadebi #3, 2017

**GADASAKHADEBI** #3, 2017



პროექტი  
20.03.2017

## საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1: მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში (საქართველოს  
პარლამენტის უწყებები, 1994, №№21–22, მუხ. 455) შეტანილ იქნეს შემდეგი  
ცვლილება:**

**1. 13<sup>1</sup> მუხლის:**

ა) პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სდპ-ის სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი. აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ქვეკომიტეტს და იგი დაკომპლექტებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. აუდიტის კომიტეტის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს დამოუკიდებელი პირი. იმ სდპ-ში, რომელშიც სამეთვალყურეო საბჭო არ არის, იქმნება დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი, რომლის წევრები არიან საერთო კრების მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული დამოუკიდებელი პირები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის დამოუკიდებელია პირი, რომელიც სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის საწარმოსთან, მათ შორის, არ ფლობს ამ საწარმოს აქციებს/წილებს და არ იღებს აღნიშნული საწარმოდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის ან/და აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს აუდიტის კომიტეტის წევრთაგან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო იმ სდპ-ში, რომელშიც სამეთვალყურეო საბჭო არ არის, – საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭომ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა აირჩიოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამოუკიდებელი პირი.“.

2. 46-ე მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 46<sup>1</sup> მუხლი:



### **„მუხლი 46<sup>1</sup>. პარტნიორის მიერ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება**

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის მიერ წილის გაყიდვის შემთხვევაში დანარჩენ პარტნიორებს გააჩნიათ ამ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

2. პარტნიორი, რომელსაც სურს გაყიდოს თავისი წილი (ვალდებული პირი) ვალდებულია ამის შესახებ შეტყობინება დაუყოვნებლივ გაუგზავნოს ყველა დანარჩენ პარტნიორს. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს დასაძებ გარიგებაში მითითებული გასაყიდი წილის მოცულობა, ნასყიდობის ფასი და ანგარიშსწორების ვადა. შეტყობინებაში აგრეთვე უნდა იყოს მითითებული უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადა, რომელიც არ უნდა იყოს **10** დღეზე ნაკლები.

3. შეტყობინება იგზავნება დაზღვეული წერილით ან ტექნიკური საშუალებით (ტელეფონი ან/და ელექტრონული ფოსტა).

4. დაზღვეული წერილით ან ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ითვლება შესაბამისი პირისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.

5. ვალდებული პირი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რომელი საშუალებით გააგზავნოს შეტყობინება.

6. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის რომელიმე პარტნიორის მისამართი ან/და საკონტაქტო ინფორმაცია უცნობია, მაშინ ვალდებული პირი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ასევე აქვეყნებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნების მომენტიდან.“.

#### **2. 53-ე მუხლის:**

ა) 1<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1<sup>1</sup>. ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს მათი უპირატესი შესყიდვის უფლება.“;

ბ) 1<sup>1</sup> პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>2</sup>-1<sup>3</sup> პუნქტები:

„1<sup>2</sup>. ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუ საწარმოს აქციონერთა რაოდენობა **100**-ს აღემატება, დირექტორი აკეთებს საჯარო შეტყობინებას ინფორმაციის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების გზით. თუ საწარმოს აქციონერთა რაოდენობა არ აღემატება **100**-ს, დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს შეტყობინება საწარმოს ყველა აქციონერს. თუ რომელიმე აქციონერის ვინაობა ან/და ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ დირექტორი ასევე აკეთებს საჯარო შეტყობინებას ინფორმაციის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების გზით. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნების მომენტიდან.



1<sup>3</sup>. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გამოსაშვები აქციების რაოდენობა, თითო აქციის გამოშვების ფასი და შესატანის განხორციელების ვადა. შეტყობინებაში აგრეთვე უნდა იყოს მითითებული უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

1<sup>4</sup>. თუ აქციონერთა რაოდენობა 100-ს არ აღემატება, მაშინ შეტყობინება იგზავნება დაზღვეული წერილით ან ტექნიკური საშუალებით (ტელეფონი ან/და ელექტრონული ფოსტა).

1<sup>5</sup>. დაზღვეული წერილით ან ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ითვლება შესაბამისი პირისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.

1<sup>6</sup>. შეტყობინების გაგზავნაზე უფლებამოსილი პირი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რომელი საშუალებით გააგზავნოს შეტყობინება.

გ) 3<sup>5</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3<sup>5</sup>. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ ან/და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ასლები.“.

2. 54-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტის:

ა.ა) „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ა.ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) აირჩიოს და გაათავისუფლოს გარე აუდიტორი;“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა, ხოლო ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად – დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა.“.

**მუხლი 2.** სდპ-ებმა ამ კანონის ამოქმედებამდე შექმნილი აუდიტის კომიტეტის ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობა უზრუნველყონ ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 1 წლისა.

**მუხლი 3.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**გ. მარგველაშვილი**



## განმარტებითი ბარათი

### „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში უპირატესი შესყიდვის უფლებასთან დაკავშირებული საკითხების ახლებურად დარეგულირების აუცილებლობა. კერძოდ, სააქციო საზოგადოებაში ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს მათი უპირატესი შესყიდვის უფლება. ეს უფლება არ არის აბსოლუტური და მისი გაუქმება შეუძლია აქციონერთა საერთო კრებას ხმების 75%-ზე მეტის თანხმობის შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ფორმულირებით ირღვევა მცირე აქციონერთა უფლებები, ვინაიდან უმრავლესობა ყოველთვის შეძლებს მათი თანხმობის გარეშე უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებას. იმისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა, მიზანშეწონილია, უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების უფლება არ ჰქონდეს პარტნიორთა კრებას, არამედ კანონით დეტალურად გაიწეროს აქციონერებისთვის შეტყობინების ჩაბარების წესი.

კანონის მიღების მიზეზია, ასევე, ის გარემოება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში როდესაც პარტნიორი ყიდის თავის წილს, დანარჩენ პარტნიორებს არ გააჩნიათ ამ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, რაც საჭიროებს გამოსწორებას.

კანონპროექტის მიღების მიზეზს განაპირობებს დამატებით ის ფაქტი, რომ აუდიტის კომიტეტის მარეგულირებელი ნორმები შესაბამისობაშია მოსაყვანი საერთაშორისო სტანდარტებთან. საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ აუდიტის კომიტეტი უნდა შედგებოდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან და მას უნდა ხელმძღვანელობდეს დამოუკიდებელი პირი (იმ საწარმოში, რომელსაც გააჩნია სამეთვალყურეო საბჭო). „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ხარვეზია ის გარემოება, იმ სდკ-ში, რომელშიც სამეთვალყურეო საბჭო არ არის, იქმნება დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი, რომლის წევრები არიან საერთო კრების მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული დამოუკიდებელი პირები. აღნიშნული დამოუკიდებელი პირები არ იღებენ აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილ ანაზღაურებას, რისი უფლებაც მათ, მიგვაჩნია, რომ უნდა გააჩნდეთ.

კანონპროექტის მიღების მიზეზია, ასევე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup> პუნქტების დანაწესი, რომელთა თანახმად, თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს ან თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, მაშინ წესდების შესაცვლელად საჭიროა ყველა პარტნიორის თანხმობა. ვინაიდან დიდ სააქციო საზოგადოებებში ყველა პარტნიორის შეკრება და მათი თანხმობის მიღება





შეიძლება ძალიან რთული აღმოჩნდეს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ როდესაც ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება, ამ შემთხვევაზე არ გავრცელდეს 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup> პუნქტებით განსაზღვრული რეგულირება, რათა სააქციო საზოგადოებებში არ დავაბრკოლოთ ახალი აქციების გამოშვების მექანიზმი.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების მარეგულირებელი ნორმების მცირე აქციონერთა უფლებების დაცვის კუთხით უკეთესად დარეგულირება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის მიერ წილის გაყიდვის შემთხვევაში დანარჩენი აქციონერებისთვის უპირატესი შესყიდვის უფლების მინიჭება, აუდიტის კომიტეტის დაკომპლექტების წესის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და კანონში არსებული ცალკეული საკითხების დახვეწა/დაზუსტება.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შედის კანონის 13<sup>1</sup> მუხლში და განისაზღვრება, რომ აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ქვეკომიტეტს და იგი დაკომპლექტებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭომ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა აირჩიოს დამოუკიდებელი პირი.

პროექტით კანონს ემატება 46<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის მიერ წილის გაყიდვის შემთხვევაში დანარჩენ პარტნიორებს ექნებათ ამ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. 46<sup>1</sup> მუხლით დეტალურად გაიწერა, თუ როდის, რა საშუალებებით და რა შინაარსი უნდა ეცნობოთ პარტნიორებს. ასევე განისაზღვრა, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადა არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

უპირატესი შესყიდვის უფლებას ეხება ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააქციო საზოგადოებაში ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს მათი უპირატესი შესყიდვის უფლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს უფლება არ არის აბსოლუტური და კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ უფლების გაუქმება შეუძლია აქციონერთა საერთო კრებას ხმების 75%-ზე მეტის თანხმობის შემთხვევაში. პროექტით 53-ე და 54-ე მუხლებში შედის ცვლილება და დგინდება, რომ აქციონერთა საერთო კრება ვერ გააუქმებს უპირატესი შესყიდვის უფლებას. ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დირექტორი ვალდებული იქნება აცნობოს აქციონერებს უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების თაობაზე. ამასთან, ვინაიდან სააქციო საზოგადოებას შეიძლება ბევრი აქციონერი ჰყავდეს და დიდ დროსთან და ხარჯთან იყოს დაკავშირებული ყველა აქციონერისთვის შეტყობინების გაგზავნა, აქედან გამომდინარე, პროექტით განისაზღვრა, რომ თუ აქციონერთა რაოდენობა 100-ს არ აღემატება, მაშინ დირექტორი აგზავნის შეტყობინებას დაზღვეული წერილით, ან ფოსტით ან ტელეფონით, ხოლო თუ აქციონერთა რაოდენობა 100-ს აღემატება, მაშინ აკეთებს საჯარო შეტყობინებას



ინფორმაციის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების გზით.

კანონპროექტით ხმების 5%-ის მფლობელი აქციონერების ნაცვლად, ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება ექნებათ, შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასაბუთებული გარიგებების შესახებ ან/და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ასლები. ცვლილებებით, ასევე, ზუსტდება, რომ აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია აირჩიოს და გაათავისუფლოს გარე აუდიტორი.

კანონპროექტი დამატებით ითვალისწინებს გარდამავალ დებულებას, რომელიც განსაზღვრავს ვადას სდპ-ებისთვის უკვე შექმნილი აუდიტის კომიტეტების ამ კანონპროექტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

#### **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

#### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღებას გავლენა არ ქნება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

#### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

#### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტს შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ფინანსური შედეგი აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრებისთვის, ვინაიდან მათ კანონპროექტის თანახმად შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილ ანაზღაურება, რისი უფლებაც აქამდე მათ არ გააჩნდათ.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.



გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადებისას კონსულტაციები მიმდინარეობდა ინვესტორთა საბჭოსთან, საქართველოს ბიზნესსაოციაციასთან, საქართველოს საფონდო ბირჟასთან, დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანებასა და საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.



**„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება**

**მუხლი 13<sup>1</sup>. აუდიტის კომიტეტი**

1. სდპ-ის სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომლის წევრები არიან ამ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თავისი შემადგენლობიდან არჩეული წევრები. აუდიტის კომიტეტის წევრი ასევე შეიძლება იყოს საერთო კრების მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული ერთი ან ერთზე მეტი დამოუკიდებელი პირი. იმ სდპ-ში, რომელშიც სამეთვალყურეო საბჭო არ არის, იქმნება დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტი, რომლის წევრები არიან საერთო კრების მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული დამოუკიდებელი პირები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის დამოუკიდებელია პირი, რომელიც სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის საწარმოსთან, მათ შორის, არ ფლობს ამ საწარმოს აქციებს/წილებს და არ იღებს აღნიშნული საწარმოდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს.

3. აუდიტის კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრი, რომელიც დირექტორის უფლებამოსილებას ახორციელებს.

4. აუდიტის კომიტეტის წევრი უნდა იყოს საწარმოს საქმიანობის სფეროში კომპეტენტური პირი. აუდიტის კომიტეტის სულ მცირე ერთი წევრი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში ან/და აუდიტის სფეროში კომპეტენტური პირი.

5. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს აუდიტის კომიტეტის წევრთაგან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო იმ სდპ-ში, რომელშიც სამეთვალყურეო საბჭო არ არის, – საერთო კრება.

6. აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს:

ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;

ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვის და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;

გ) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;

დ) აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის დამოუკიდებლობას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

7. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს, მისი არარსებობის შემთხვევაში კი – საერთო კრებას, აწვდის ინფორმაციას განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში კომიტეტის მონაწილეობის შესახებ.

8. აუდიტის კომიტეტი გამოსცემს რეკომენდაციებს ფინანსური ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფის და საერთო კრების მიერ ასარჩევი აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის შესახებ.



9. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს, მისი არარსებობის შემთხვევაში კი – საერთო კრებას, რეგულარულად წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს და დაუყოვნებლივ ატყობინებს მათი ფუნქციების განხორციელებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ.

10. ეს მუხლი არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ანგარიშვალდებულ საწარმოებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით, მზღვეველებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით, და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით.

### მუხლი 53. აქციონერთა უფლება-მოვალეობები

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა, შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობის დაკისრება.

1<sup>1</sup>. ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს მათი უპირატესი შესყიდვის უფლება. ეს უფლება შეიძლება გააუქმოს მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებამ ამ კანონის 54-ე მუხლის თანახმად.

2. აქციონერების წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3<sup>1</sup>. აქციონერს უფლება აქვს, საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი. თუ მოთხოვნა წერილობით იქნება წარდგენილი საერთო კრებამდე 10 დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნეს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.

3<sup>2</sup>. აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

3<sup>3</sup>. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, საწარმოს წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) მოსთხოვონ საწარმოს აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათთან. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები ვალდებული



არიან, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს **3** თვისა ჩაატარონ საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები, ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი (ამ მუხლის **3**<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად) უფლებამოსილი არიან შეიტანონ დამატებები აქციონერთა მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგში. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ ბოლო კრების ჩატარებიდან არაუადრეს **1** თვისა.

**3<sup>4</sup>**. თუ ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი (კრების ინიციატორები) მიმართავენ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით და ამ კრების ერთადერთი საკითხი არის დირექტორის (დირექტორების), მათ შორის, იმ დირექტორის, რომელიც არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, გადაყენების მოთხოვნა, მაშინ კრება ტარდება ამ პუნქტით გათვალისწინებული წესების მიხედვით.

თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნიდან **20** დღის ვადაში არ იქნა მოწვეული რიგგარეშე კრება, მაშინ ამ კრების ჩატარების უფლება აქვთ კრების ინიციატორებს, რომლებმაც ამ მოთხოვნით მიმართეს საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს).

ამ შემთხვევაში კრების ინიციატორები საზოგადოების ყველა აქციონერს დაზღვეული წერილით უზავნიან რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ მოსაწვევს ამ პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, დღის წესრიგის ერთადერთი საკითხის მითითებით. დაუშვებელია დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა. ამ შემთხვევაში რიგგარეშე კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ **75%**-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს შეუძლიათ ხელახლა მოიწვიონ კრება არაუადრეს პირველი კრების მოწვევიდან **20** დღისა. კრების ინიციატორები ხელახალ რიგგარეშე კრებას მოიწვევენ ამ პუნქტით დადგენილი წესით. ეს კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ **75%**-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, რომელიც საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) ავალებს რიგგარეშე კრების გადაწყვეტილების მიღებიდან **3** თვეში ჩატარებას.

**3<sup>5</sup>**. ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.

**4.** აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ



პრაქტიკული შესაძლებლობა, გადაწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე.

5. თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან **90** დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აქციონერის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს აქციონერს სასამართლო ხარჯების გადახდა.

#### **მუხლი 54. საერთო კრება**

1. თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან **2** თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზედაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ამ კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე **45** დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

1<sup>1</sup>. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების **75%**-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ამ პუნქტში აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

2. სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები) მიერ, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში



გამოქვეყნებიდან ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას უნდა დაერთოს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც, კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება. საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით.

3. აქციონერს შეუძლია ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობის უფლებისა და მის განკარგულებაში არსებულ ხმათა რაოდენობის დასტური. იგი კრების მუშაობაში მონაწილეობს პირადობის მოწმობის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

4. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

5. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად.

6. საერთო კრება უფლებამოსილია:

- ა) მიიღოს ცვლილებები სააქციო საზოგადოების წესდებაში;
- ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- გ) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);





დ) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას – მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გათვალისწინებულია ამ კანონით);

ვ) აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;

ზ) დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;

თ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

ი) აირჩიოს აუდიტორი;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას.

წესდებით შეიძლება ამ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებამოსილებები გადანაწილდეს სამეთვალყურეო საბჭოზე ან/და დირექტორზე (დირექტორებზე).

7. თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა, ხოლო ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად – დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა.

8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

ა) ყოველი აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა სრულ რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.



პროექტი

20.03.2017

## საქართველოს კანონი

### „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1(8), 1999 წელი, მუხ. 1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 9<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელმაც უნდა გააკონტროლოს ემიტენტის ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, ასევე წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ქვეკომიტეტს და იგი დაკომპლექტებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრი, რომელიც არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 13<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამოუკიდებელი პირი.“.

2. 11<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### „მუხლი 11<sup>1</sup>. საანგარიშგებო მოთხოვნები დირექტორების შემოსავლების შესახებ

ანგარიშვალდებული საწარმოს ნებისმიერ აქციონერს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს დირექტორების ან დირექტორთა საბჭოს წევრების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საწარმოდან მიღებული ხელფასის და სხვა სახის შემოსავლების შესახებ.“.

3. 16<sup>1</sup> მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5<sup>1</sup> პუნქტი:

„5<sup>1</sup>. გარიგება, რომელშიც მონაწილეობენ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირები და რომლის ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან 10%-ზე მეტს ანდა მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, უნდა შემოწმდეს გარე აუდიტორის მიერ. გარე აუდიტორი ამოწმებს, იდება თუ არა გარიგება არსებითად იმავე პირობებით, როგორც დაიდებოდა დაინტერესების არმქონე პირებს შორის. გარე აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნა გარიგების დამტკიცებამდე ეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრებას, იმის მიხედვით თუ ვინ უნდა დაამტკიცოს ეს გარიგება.“.

**მუხლი 2.** ანგარიშვალდებულმა საწარმომამ ამ კანონის ამოქმედებამდე შექმნილი აუდიტის კომიტეტის ამ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტთან შესაბამისობა უზრუნველყონ ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 1 წლისა.



მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გ. მარგველაშვილი

### განმარტებითი ბარათი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის გარემოება, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკეული ნორმები შესაბამისობაშია მოსაყვანი საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ, საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ აუდიტის კომიტეტი უნდა შედგებოდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან და მას უნდა ხელმძღვანელობდეს დამოუკიდებელი პირი. ასევე, ინტერესთა კონფლიქტის შემცველ ისეთ გარიგებას, რომლის ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან 10%-ზე მეტს ანდა მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, უნდა ამტკიცებდეს გარე აუდიტორი. კანონპროექტის მიღების მიზეზია, ასევე, ნებისმიერი აქციონერისთვის შესაძლებლობის მიცემა, მიიღოს ინფორმაცია დირექტორთა შემოსავლების შესახებ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია აუდიტის კომიტეტთან და ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებათა მარეგულირებელი ნორმების საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა და მცირე აქციონერთა უფლებების გაუმჯობესება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 9<sup>1</sup> მუხლში და განისაზღვრება, რომ აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ქვეკომიტეტს და იგი დაკომპლექტებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. ამასთან, აუდიტის კომიტეტს უნდა ხელმძღვანელობდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 13<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამოუკიდებელი პირი.



„ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>1</sup> მუხლის დღეს მოქმედი რედაქციით, აქციების 5%-ის ან 5%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს დირექტორების ან დირექტორთა საბჭოს წევრების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საწარმოდან მიღებული ხელფასის და სხვა სახის შემოსავლების შესახებ. მიგვაჩნია, რომ მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი აქციონერისთვის, შესაბამისად, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პროექტით ცვლილება ხორციელდება 11<sup>1</sup> მუხლში.

კანონპროექტით 16<sup>1</sup> მუხლს ემატება 5<sup>1</sup> პუნქტი და დგინდება, რომ გარიგება, რომელშიც მონაწილეობენ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირები და რომლის ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან 10%-ზე მეტს ანდა მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, უნდა შემოწმდეს გარე აუდიტორის მიერ. გარე აუდიტორი ამოწმებს, იდება თუ არა გარიგება არსებითად იმავე პირობებით, როგორც დაიდებოდა დაინტერესების არმქონე პირებს შორის. გარე აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნა გარიგების დამტკიცებამდე ეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრებას, იმის მიხედვით, თუ ვინ უნდა დაამტკიცოს ეს გარიგება.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს გარდამავალ დებულებას, რომელიც განსაზღვრავს ვადას ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის, უკვე შექმნილი აუდიტის კომიტეტების ამ კანონპროექტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

#### **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

#### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღებას გავლენა არ ქნება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

#### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

#### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.



**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის მომზადებისას კონსულტაციები მიმდინარეობდა ინვესტორთა საბჭოსთან, საქართველოს ბიზნესასოციაციასთან, საქართველოს საფონდო ბირჟასთან, დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანებასა და საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.



**„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება**

**მუხლი 9<sup>1</sup>. აუდიტის კომიტეტი**

1. ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელმაც უნდა გააკონტროლოს ემიტენტის ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, ასევე წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. აუდიტის კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს როგორც ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ისე სხვა პირი (მათ შორის, საწარმოს თანამშრომელი); ამასთანავე, აუდიტის კომიტეტის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის 2<sup>2</sup> პუნქტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი პირი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, რომელთა საქმიანობა რეგულირდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

**მუხლი 11<sup>1</sup>. საანგარიშგებო მოთხოვნები დირექტორების შემოსავლების შესახებ**

ანგარიშვალდებული საწარმოს აქციების 5%-ის ან 5%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს დირექტორების ან დირექტორთა საბჭოს წევრების და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საწარმოდან მიღებული ხელფასის და სხვა სახის შემოსავლების შესახებ.

**მუხლი 16<sup>1</sup>. ინტერესთა კონფლიქტი და ინფორმაციის განცხადება**

1. ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ განსახორციელებელი გარიგებები უნდა დაიდოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, თუ დაინტერესებული პირი არის ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი აქციონერი. ამ მუხლის მოთხოვნები, გარდა მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც იდება ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის.

2. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელი აქციონერი დაინტერესებულ პირად მიიჩნევა, თუ ის ან მასთან დაკავშირებული პირი ამ ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი შვილობილი საწარმოს (საწარმო, რომელშიც ეს ანგარიშვალდებული საწარმო ფლობს 50%-ზე მეტ წილს) მიერ გარიგების დადების შემთხვევაში აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას :



ა) არის გარიგების მეორე მხარე;

ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ იურიდიული პირის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ს ან მეტს, რომელიც გარიგების მეორე მხარეა;

გ) არის გარიგების მეორე მხარის მმართველი ორგანოს წევრი;

დ) დანიშნულია / არჩეულია ამ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრად გარიგების მეორე მხარის ანდა გარიგების მეორე მხარის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელის (მფლობელების) წარდგინებით;

ე) გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წილის ფლობასთან ან მმართველი ორგანოს წევრობასთან;

ვ) ასეთად განისაზღვრება ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წესდებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირი ვალდებულია, დასაძებ გარიგებაში თავისი დაინტერესების ფაქტის, გარიგების ხასიათისა და მოცულობის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო თუ ამავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გარიგებას ამტკიცებს საერთო კრება, – განუცხადოს მასაც.

4. თუ პირმა არ იცოდა, რომ დადებულ გარიგებაში თვითონ იყო ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირი, იგი ვალდებულია ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა შეასრულოს დაუყოვნებლივ, თავისი დაინტერესების ფაქტის შეტყობისთანავე.

4<sup>1</sup>. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ვალდებულია დასაძებ გარიგებაში ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ შეტყობისთანავე წერილობით აცნობოს ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო თუ ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გარიგებას საერთო კრება ამტკიცებს – მასაც განუცხადოს.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დაინტერესებულ პირებს ეკრძალებათ ხმის უფლების გამოყენება საზოგადოების ყველა შესაბამის ორგანოში იმ გარიგებებთან დაკავშირებით, რომლებშიც მათ აქვთ დაინტერესება. ამ შემთხვევაში დარჩენილი ხმები განიხილება, როგორც ხმათა სრული ოდენობა, და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. გარიგება, რომელშიც მონაწილეობენ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირები ან რომლის ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან 10%-ზე მეტს ანდა მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, უნდა დაამტკიცოს საწარმოს სამეთვალყურეო საბჭომ ან საერთო კრებამ, ხოლო თუ გარიგების ღირებულება აღემატება ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 50%-ს – საერთო კრებამ, ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.



**6<sup>1</sup>.** გარიგება, რომელშიც მონაწილეობენ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირები და რომლის ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან 10%-ზე მეტს ანდა მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, უნდა დაამტკიცოს საერთო კრებამ, ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

**7.** ანგარიშვალდებულმა საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს სააგენტოს შეტყობინება იმ გარიგების დამტკიცების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ დაინტერესებული პირები. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გარიგების მოცულობა და ხასიათი, აგრეთვე სხვა ძირითადი პირობები. ანგარიშვალდებულმა საწარმომ უნდა უზრუნველყოს ამ პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ან საფონდო ბირჟის ვებგვერდზე ანდა სააგენტოს მიერ განსაზღვრული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სააგენტოსთვის შეტყობინების გაგზავნიდან 5 დღის ვადაში. ინფორმაცია ყოველი ასეთი გარიგებისა და ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის დადებული გარიგების თაობაზე, რომლის ღირებულება შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან მეტს ანდა წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, უნდა აისახოს ანგარიშვალდებული საწარმოს მიმდინარე და წლიურ ანგარიშებში.

**8.** პირი, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა და არ განაცხადა გარიგებაში თავისი დაინტერესების შესახებ ან/და გამოიყენა ხმის უფლება ამ მუხლით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, ვალდებულია აანაზღაუროს საზოგადოებისთვის ამ გარიგების შედეგად მიყენებული ზიანი და დააბრუნოს გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებელი, თუ დამტკიცდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო გარიგების შედეგად საზოგადოებას მიაღდა ზიანი და დაინტერესების არარსებობისას გარიგება უკეთესი პირობებით დაიდებოდა.

**8<sup>1</sup>.** ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები, რომლებმაც იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ და არ განაცხადეს გარიგებაში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ან/და მხარი დაუჭირეს გარიგების ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დადებას, რამაც საზოგადოებას ზიანი მიაყენა, ვალდებული არიან დაინტერესებულ პირთან ერთად სოლიდარულად აანაზღაურონ საზოგადოებისთვის ამ გარიგების შედეგად მიყენებული ზიანი და დააბრუნონ გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო გარიგების შედეგად საზოგადოებას მიაღდა ზიანი და დაინტერესების არარსებობისას გარიგება უკეთესი პირობებით დაიდებოდა.

**9.** გარიგების ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დადების შემთხვევაში, მისი დადებიდან 18 თვის განმავლობაში, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრს ან/და ანგარიშვალდებული საწარმოს 5%-ის ან 5%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, თუ საწარმო სააქციო საზოგადოებაა, ხოლო სხვა სამართლებრივი ფორმის ანგარიშვალდებულ საწარმოში – თითოეულ პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი გარიგების ბათილობა ან/და ამავე მუხლის მე-8 და 8<sup>1</sup> პუნქტებით განსაზღვრული პირების მიერ ზიანის ანაზღაურება და ასეთი გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებლის დაბრუნება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.





## i n s t r u q c i a

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №7

2017 წლის 13 იანვარი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111, 200090000.22.033.016112, 03.01.2011 წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-40 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 40. მოგების გადასახადის დეკლარაცია**

1. მოგების გადასახადის გადამხდელი მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში

საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგენს №II-09 დანართის მიხედვით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. საწარმო და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოში წარადგენენ №II-08<sup>6</sup> დანართის მიხედვით.“.

2. დაემატოს დანართი №II-08<sup>6</sup>, თანდართული რედაქციით.

3. მე-40 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 40<sup>1</sup> მუხლი:



**„მუხლი 40<sup>1</sup>. მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის (დანართი №II-086) შევსება**

1. მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართებისაგან. დანართები დეკლარაციის განუყოფელი ნაწილია.

2. დეკლარაციის სტრიქონებში მონაცემები შეიტანება მათი დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად. ამასთან, მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის არც ერთი ელემენტი არ უნდა იქნეს გამოტოვებული ან ორჯერ ჩართული. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღნიშნულზე დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

3. დეკლარაციის I ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტების, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის („NACE“) კოდი „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საქსტატის“ საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ მიხედვით. მისამართის სვეტში მიეთითება საწარმოს ფაქტობრივი მისამართი.

4. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ, დეკლარაციის ქალაქის ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში, და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ. თანდართულ დოკუმენტებში გადასახადის გადამხდელის მიერ მოგების გადასახადის გაანგარიშებასთან დაკავშირებით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს დამატებითი დანართები, მათ შორის, ახსნა-განმარტების სახით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. დეკლარაციის III ნაწილის:

ა) მე-16 სტრიქონში მიეთითება განაწილებული მოგება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, რომელიც დეკლარაციის III ნაწილის 16.1, 16.2, 16.3, 16.4 და 16.5 სტრიქონებში ასახული თანხების ჯამის ტოლია:

ა.ა) 16.1 სტრიქონი - აისახება წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი. მათ შორის:

- საწარმოს ლიკვიდაციისას განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;



- საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირების გზით აქტივების გადაცემა, (გარდა საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირებით სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტებისათვის აქტივების გადაცემისა, თუ ამ საწარმოს წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია), რომლის ღირებულებაც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

- საწარმოს აქციის/წილის გამოსყიდვისას განხორციელებული გადახდა/განაცემი (ლიკვიდაციისას ან კაპიტალის შემცირებისას), რომელიც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

**შენიშვნა:** 16.1 სტრიქონში ასევე შეიტანება 2008 წლამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი. ამასთან, 16.1 სტრიქონში არ შეიტანება:

ა) „ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული მოგების განაწილება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, კომანდიტურ საზოგადოებაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივზე, გარდა:

ა.ა) მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული აღნიშნული პირ(ებ)ისა;

ა.ბ) კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა, სადაზღვევო ორგანიზაციისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდისა, თუ მოგება განეკუთვნება 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდებს;

ბ) საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული დივიდენდის განაწილება.

### მაგალითი 1.

#### **ფაქტობრივი გარემოებები:**

საწარმომ 2017 წელს მიღებული წმინდა მოგებიდან (60 000 ლარი) მოახდინა პარტნიორზე გადახდა საწარმოს წილის საკუთრებაში გადაცემით (გაზარდა ამ პარტნიორის წილის ღირებულება, კაპიტალი იყო 20000 ლარი და გახდა 80 000 ლარი). საწარმომ 2018 წლის ივნისში პარტნიორ ფიზიკურ პირზე გასცა 90 000 ლარი – 40 000 ლარი წმინდა მოგების ხარჯზე, ხოლო 50 000 ლარით შეამცირა კაპიტალი.

#### **ანალიზი:**

წმინდა მოგებიდან საწარმოს მიერ პარტნიორზე მისი წილის ღირებულების გაზრდის მიზნით განხორციელებული გადახდა არ წარმოადგენს დივიდენდის განაწილებას და შესაბამისად 2017 წელს ასეთი გადახდა (60 000 ლარი) არ დაიბეგრა მოგების გადასახადით. განაწილებულ მოგებად არ ითვლება პარტნიორის მიერ შენატანის ოდენობის ფარგლებში განხორციელებული გატანა, შესაბამისად, 2018 წლის ივნისის საანგარიშო პერიოდის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარება 30 000 ლარი ((50 000 – 20 000), ვინაიდან 20000 ლარი წარმოადგენს პარტნიორის მიერ განხორციელებულ შენატანს),



ასევე ამავე საანგარიშო პერიოდის მიხედვით დაექვემდებარება დაბეგვრას წმინდა მოგების ხარჯზე გაცემული 40 000 ლარი.

**შედეგი:**

2018 წლის ივნისის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დივიდენდის სახით დაბეგვრას დაექვემდებარება 70 000 ლარი (30 000 + 40 000). შესაბამისად, 16.1 სტრიქონში ჩაიწერება 70000 ლარი.

ა.ა.ა) 16.1.1 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი (გარდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, კომანდიტურ საზოგადოებაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივზე (გარდა მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული აღნიშნული პირ(ებ)ისა) დივიდენდის განაწილებისა);

ა.ბ) 16.2 სტრიქონში აისახება არარეზიდენტი საწარმოს მიერ მისი მუდმივი დაწესებულებისთვის მიკუთვნებული მოგების გატანა. კერძოდ, ამ მუდმივი დაწესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეზიდენტი საწარმოსათვის ფულადი ან არაფულადი ფორმით განხორციელებული განაცემი. მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლება მიეღოს, როგორც იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ, იმავე ან ანალოგიურ პირობებში მყოფ დამოუკიდებელ საწარმოს.

ა.გ) 16.3 სტრიქონში შეიტანება ურთიერთდამოკიდებულ პირებთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცი(ებ)ის ფარგლებში გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობის თანხა, როდესაც მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. კერძოდ:

ა.გ.ა) 16.3.1 სტრიქონში - გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობა, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;

ა.გ.ბ) 16.3.2 სტრიქონში - გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობა, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს;

ა.დ) 16.4 სტრიქონში მიეთითება საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) განხორციელებული ოპერაცი(ებ)ის ფარგლებში გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობის თანხა. კერძოდ:



ა.დ.ა) გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობა, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;

ა.დ.ბ) გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობა, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს;

## მაგალითი 2.

### **ფაქტობრივი გარემოებები:**

2017 წლის აგვისტოს თვეში გადასახადის გადამხდელმა საწარმომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირთან დადო გარიგება, რომლის შესაბამისადაც, იმავე თვეში პირმა მიაწოდა 8 000 ლარის საბაზრო ღირებულების საქონელი, ხოლო საწარმომ მომწოდებელს გადაუხადა გარიგებით გათვალისწინებული ფასი - 10 000 ლარის ოდენობით. საწარმომ აღნიშნული შემოსავალი არ ჩათვალა მოგების განაწილებად და არ დაბეგრა მოგების გადასახადით.

### **ანალიზი:**

ვინაიდან გარიგების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირი, მოგების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარეთა შორის დადებული გარიგების ფაქტობრივი ფასი განსხვავდება თუ არა საბაზრო ფასისგან. ვინაიდან მაგალითში საბაზრო ფასი ნაკლებია გარიგების ფასზე, საწარმოს წარმოემოზა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი.

### **შედეგი:**

საწარმო ვალდებულია, მოგების გადასახადით დაბეგროს 2000 ლარი (სხვაობა საწარმოს მიერ გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის).

### **შენიშვნა:**

საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად ჩაითვლება პირი:

ა) რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით (მაგალითად: თიზ-ის საწარმო, საერთაშორისო ფინანსური კომპანია, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახლების საწარმო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი);



ბ) რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ სანებართვო საქმიანობას (მაგალითად: აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი(გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა)).

ა.ე) 16.5 სტრიქონში აისახება განხორციელებული კონტროლირებული ოპერაციის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVII თავით დადგენილი წესით გამოანგარიშებული კორექტირების თანხა, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს.

ბ) მე-17 სტრიქონში აისახება ხარჯი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული), რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან. კერძოდ:

ბ.ა) 17.1 სტრიქონში აიხება ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გაწეული ხარჯების დოკუმენტურად დადასტურების ვალდებულებას;

ბ.ბ) 17.2 სტრიქონში აისახება ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;

ბ.გ) 17.3 სტრიქონში აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სხვა ხარჯი. კერძოდ:

ბ.გ.ა) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შექმნილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი საერთო წესით იბეგრება;

ბ.გ.ბ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისაგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის (გარდა საგადასახადო კოდექსის 95<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფიქსირებული გადასახადის განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობისა) ფარგლებში შექმნილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;

ბ.გ.გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლების ზემოთ კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი პროცენტი;

ბ.გ.დ) სპეციალური სავაჭრო კომპანიისაგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი, გარდა იმ ხარჯისა, რომელიც ამ სპეციალური სავაჭრო კომპანიისათვის გადახდებს არ უკავშირდება.

გ) მე-18 სტრიქონი - მიეთითება გადახდები (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული), რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. კერძოდ:



გ.ა) 18.1 სტრიქონი ტოლია 18.1.1 - 18.1.5 სტრიქონებში ასახული თანხების ჯამის:

გ.ა.ა) 18.1.1 სტრიქონში აისახება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

გ.ა.ბ) 18.1.2 სტრიქონში მიეთითება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) გადახდილი, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა;

გ.ა.გ) 18.1.3 სტრიქონში მიეთითება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) ავანსის გადახდა;

გ.ა.დ) 18.1.4 სტრიქონში მიეთითება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებულ ოპერაციებზე;

გ.ა.ე) 18.1.5 სტრიქონში მიეთითება ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;

გ.ბ) 18.2 სტრიქონში აისახება არარეზიდენტის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

გ.გ) 18.3 სტრიქონში აისახება ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის სესხის გაცემა ან/და რომელიმე ამ პირის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა, როდესაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხის ოდენობა შეადგენს აღებული სესხის თანხას. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე;



გ.დ) 18.4 სტრიქონში აისახება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან ლომბარდის მიერ პარტნიორ არარეზიდენტზე, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პარტნიორზე ან კაპიტალში არანაკლებ 1 პროცენტით მონაწილეობის უფლების მქონე პარტნიორ ფიზიკურ პირზე სესხის გაცემა ან/და პარტნიორის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა, როდესაც მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტის თანხის ოდენობა შეადგენს აღებული სესხის თანხას.

დ) მე-19 სტრიქონი - აისახება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>3</sup> მუხლით განსაზღვრული). კერძოდ:

დ.ა) 19.1 სტრიქონი - სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების დანაკლისი;

დ.ბ) კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულობა, რომელიც აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს; ამასთან, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას შემოწირულობა მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ საანგარიშო პერიოდიდან, როცა მიმდინარე წლის განმავლობაში ჯამურად გაცემული შემოწირულობა გადააჭარბებს წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს;

### მაგალითი 3.

#### **ფაქტობრივი გარემოებები:**

2017 წლის აგვისტოს თვეში გადასახადის გადამხდელმა საწარმომ სარეკლამო აქციის ფარგლებში მომხმარებლებს გადასცა ქუდები, რომელზეც გამოსახული იყო საწარმოს ემბლემა. აქციის ფარგლებში გაწეულ იქნა დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი - 10 000 ლარის ოდენობით. გადასახადის გადამხდელმა აღნიშნული ხარჯი ჩათვალა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად და არ დაბეგრა მოგების გადასახადით.

#### **ანალიზი:**

იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადის გადამხდელის მიერ სარეკლამო აქციის მიზანს წარმოადგენს შემდგომში მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, იგი არ მიიჩნევა უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებად და ასევე არ წარმოადგენს ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტს.



**შედეგი:**

გადასახადის გადამხდელს, აგვისტოს თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით, არ წარმოეშობა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

**მაგალითი 4.****ფაქტობრივი გარემოებები:**

საწარმოს მიერ 2017 წელს მიღებული წმინდა მოგება შეადგენს 100 000 ლარს. 2018 წლის 5 იანვარს საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გასცა შემოწირულობა 5 000 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში - 7 500 ლარი.

**ანალიზი:**

საწარმოს მიერ 2018 წლის განმავლობაში გაცემულმა შემოწირულობამ (5000+7500) გადააჭარბა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს (12500>(100 000\*10%).

**შედეგი:**

საწარმოს 2018 წლის აგვისტოს საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშევა 2500 (12500-10000) ლარის დაბეგვრის ვალდებულება.

დ.გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან; უსასყიდლო მიწოდებად ითვლება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება; ამასთან, აღნიშნულში არ გაითვალისწინება:

- სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

- საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უმრავი ქონების უსასყიდლოდ მიწოდება, თუ ამ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან/და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში;

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა.



ე) მე-20 სტრიქონი - აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>4</sup> მუხლით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1 პროცენტი, ხოლო თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს - გაწეული ხარჯის 1 პროცენტი. ამასთან, საწარმოს დაფუძნების კალენდარულ წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობა მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1 პროცენტი.

### მაგალითი 5.

#### **ფაქტობრივი გარემოებები:**

საწარმოს მიერ 2017 წელს მიღებული შემოსავალი შეადგენს 1 000 000 ლარს, ხოლო გაწეული ხარჯი „ბასს“-ის მიხედვით - 1 200 000 ლარს. 2018 წლის 5 იანვარს გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა შეადგინა 5000 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში - 6000 ლარი, ნოემბრის თვეში კი - 4000 ლარი.

#### **ანალიზი:**

წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1 პროცენტი, ხოლო თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს - გაწეული ხარჯის 1 პროცენტი. მოცემულ მაგალითში 2017 წელს გაწეული ხარჯი აღემატება ამავე პერიოდის შემოსავალს, შესაბამისად, წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება გაწეული ხარჯის 1%-ით ( $1\,200\,000 \cdot 1\%$ ) - 12 000 ლარი.

საწარმოს 2018 წლის იანვრისა ( $5000 < 12\,000$ ) და აგვისტოს ( $(5000+6000) < 12\,000$ ) თვეებში გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა ჯამურად არ გადაარჭა ზღვრულ ოდენობას, ამდენად, შესაბამის საანგარიშო პერიოდებზე საწარმოს არ წარმოეშვება მოგების გასახადით დაბეგვრის ვალდებულება.

ნოემბრის თვეში წარმომადგენლობითმა ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 15 000 ( $5000+6000+4000$ ) ლარი, რაც აღემატება ზღვრულ ოდენობას. შესაბამისად, საწარმოს ნოემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშვება მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯზე.

#### **შედეგი:**

საწარმოს 2018 წლის ნოემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშვება 3 000 ( $15\,000 - 12\,000$ ) ლარის დაბეგვრის ვალდებულება.



### მაგალითი 6.

#### **ფაქტობრივი გარემოებები:**

საწარმო დაფუძნდა 2018 წლის 3 თებერვალს. მის მიერ ბასს-ის მიხედვით გაწეული ჯამური ხარჯი 2018 წლის აგვისტოს თვეში შეადგენს 100 000 ლარს, ამავე თვეში საწარმომ გასწია წარმომადგენლობითი ხარჯი 1 200 ლარის ოდენობით. საწარმოს 2018 წლის ბოლომდე დამატებითი ხარჯი არ გაუწევია.

#### **ანალიზი:**

საწარმოს დაფუძნების კალენდარულ წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1%.

ვინაიდან საწარმომ აგვისტოს თვეში არ იცოდა კალენდარული წლის ჭრილში მის მიერ გაწეული ხარჯის ოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს საანგარიშო პერიოდის მიხედვით გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა გადააჭარბა ამავე პერიოდისთვის გაწეული ხარჯის 1%-ს, საწარმოს უფლება აქვს აგვისტოს საანგარიშო თვის დეკლარაციაში არ ასახოს აღნიშნული დაბეგვრის ობიექტი.

ხოლო ვინაიდან 2018 წელს საწარმოს დამატებითი ხარჯი არ გაუწევია და წარმომადგენლობითმა ხარჯმა კალენდარული წლის ჭრილში გადააჭარბა ზღვრულ ოდენობას, საწარმოს წარმოემგება მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება.

#### **შედეგი:**

საწარმოს 2018 წლის აგვისტოს საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოემგება 200 (1 200- (100 000\*1%)) ლარის დაბეგვრის ვალდებულება. შესაბამისად, საწარმომ უნდა დააზუსტოს 2018 წლის აგვისტოს თვის დეკლარაცია.

ვ) 21-ე სტრიქონი - მიეთითება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხების ჯამი (სტ.21=სტ.16+სტ.17+სტ.18+სტ.19+სტ.20);

ზ) 22-ე სტრიქონი - მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლით გათვალისწინებული მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული მოგების განაწილება, გაწეული ხარჯი, განხორციელებული განაცემი;

თ) 23-ე სტრიქონი - მიეთითება მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა (სტ.23=(სტ.21-სტ.22)/0,85);

ი) 24-ე სტრიქონი - აისახება მოგების გადასახადი (სტ.24= სტ.23\*15%);



კ) 25-ე სტრიქონი - მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 124-ე მუხლის მე-2-მე-3 ნაწილების, 309-ე მუხლის 92-93-ე ნაწილებით და 131-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ჩასათვლელი თანხების ჯამი (სტ.25=სტ.25.1+სტ.25.2):

კ.ა) 25.1 სტრიქონი - აისახება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ამავე დეკლარაციის დანართი №1-ით გაანგარიშებული თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დეკლარაციის 16.1.1. სტრიქონში ასახული მონაცემის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხას. ამასთან, თუ დეკლარაციის დანართი №1-ის მე-6 სტრიქონში ასახული თანხა მეტია დეკლარაციის III ნაწილის 16.1.1 სტრიქონის მიხედვით გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხაზე, მაშინ 25.1 სტრიქონში აისახება სტრიქონი 16.1.1-ის მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა. თუ დეკლარაციის დანართი №1-ის მე-6 სტრიქონში ასახული თანხა ნაკლებია დეკლარაციის III ნაწილის 16.1.1 სტრიქონის მიხედვით გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხაზე, 25.1 სტრიქონში მიეთითება დეკლარაციის დანართი №1-ის მე-6 სტრიქონის მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა;

კ.ბ) 25.2 სტრიქონში მიეთითება წყაროსთან დაკავებული ან/და გადახდილი გადასახადის თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 16.1 სტრიქონში მითითებული მონაცემის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხასა და 25.1 სტრიქონში ასახულ მონაცემს შორის სხვაობით მიღებულ თანხას, კერძოდ:

კ.ბ.ა) 25.2.1 სტრიქონში - საქართველოს ფარგლების გარეთ წყაროსთან დაკავებული ან გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, რომელიც გამოანგარიშებული იქნებოდა საქართველოში აღნიშნულ შემოსავალზე საქართველოში არსებული წესითა და განაკვეთებით;

კ.ბ.ბ) 25.2.2 სტრიქონში - საქართველოში გადახდის წყაროსთან დაბეგრული პროცენტებიდან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა.

ლ) 26-ე სტრიქონი - მიეთითება მოგების გადასახადის თანხა სტრიქონ 25-ში ასახული მონაცემის გამოკლებით (სტ.26=სტ.24-სტ.25, ამასთან სტ.26≥0);

მ) 27-ე სტრიქონი - წარმოადგენს დეკლარაციის 18.1.1, 18.1.3, 18.1.4, 18.2, 18.3 სტრიქონების მიხედვით საანგარიშო პერიოდში და საანგარიშო პერიოდის წინა პერიოდებში დაბეგვრას დაქვემდებარებული (დაბეგრილი) დაბეგვრის ობიექტის მიხედვით საანგარიშო პერიოდში აღსადგენ მოგების გადასახადის თანხას (სტ.27.1+სტ.27.2+სტ.27.3)/0,85\*15%);



მ.ა) 27.1 სტრიქონი - აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>2</sup> მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული - შექმნილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად ანაზღაურების შემთხვევაში (თანხის ფაქტობრივად მიღების შემთხვევაში), საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული თანხა;

მ.ბ) 27.2 სტრიქონი - აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>2</sup> მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული - გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნების ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში, სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხა ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხა;

მ.გ) 27.3 სტრიქონი - აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>2</sup> მუხლის მე-9 ნაწილით განსაზღვრული - სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფის გაუქმების შემთხვევაში, გაუქმების საანგარიშო პერიოდში სესხის ძირითადი თანხა;

ნ) 28-ე სტრიქონი - აისახება კუთვნილი მოგების გადასახადი (სტ.28=სტ.26-სტ.27, როცა სტ.26>სტ.27);

ო) 29-ე სტრიქონი - მიეთითება დაბრუნებას დაქვემდებარებული მოგების გადასახადი (სტ.29= სტ.27- სტ.26, როცა სტ.27>სტ.26).

6. დეკლარაციის III ნაწილის დანართი №1 ივსება სტრიქონების დასახელების შესაბამისად, კერძოდ:

ა) პირველ სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან საანგარიშო პერიოდში დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობა სრულად, მათ შორის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირზე (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) დივიდენდის განაწილება;

ბ) მე-2 სტრიქონში მიეთითება საანგარიშო პერიოდში დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას.

### მაგალითი 7.

#### ფაქტობრივი გარემოებები:

პირმა დივიდენდის სახით გაანაწილა 50 000 ლარი, აქედან 20 000 ლარი გაანაწილა სააქციო საზოგადოებაზე.



### ანალიზი:

ვინაიდან სააქციო საზოგადოება წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს და ამასთან, სააქციო საზოგადოება არ არის მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირი, 20 000 ლარი არ ექვემდებარება ასახვას აღნიშნულ სტრიქონში.

### შედეგი:

მოცემულ შემთხვევაში მე-2 სტრიქონში შეიტანება 30000 ლარი (50 000-20 000).

გ) მე-3 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა;

დ) მე-4 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა ჯამურად (მათ შორის, უარყოფითი ფინანსური შედეგის (ზარალი) გათვალისწინებით);

ე) მე-5 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ საწარმოს მიერ პარტნიორისათვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების/წილის ღირებულება;

ვ) მე-6 სტრიქონში მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 93-ე ნაწილის მიხედვით ჩასათვლელი თანხა, რომელიც წარმოადგენს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხას. აღნიშნული თანხის ოდენობა იანგარიშება მე-2 და მე-3 სტრიქონების ნამრავლის გაყოფით მე-4 და მე-5 სტრიქონების სხვაობაზე (სტ.2\*სტ.3/(სტ.4- სტ.5)).

7. დეკლარაციის III ნაწილის დანართი №2 ივსება სტრიქონების დასახელების შესაბამისად, მარტის თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარსადგენ დეკლარაციაში, კერძოდ:

ა) პირველ სტრიქონში მიეთითება წინა კალენდარული წლის ბოლოს არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი;

ბ) მე-2 სტრიქონში მიეთითება წინა კალენდარული წლის ბოლოს არსებული ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ბასს-ის მიხედვით).



8. დეკლარაციის IV ნაწილი ივსება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ. კერძოდ:

ა) პირველი სტრიქონში მითითება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი;

ბ) მე-2 სტრიქონში აისახება კუთვნილი მოგების გადასახადი ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის ნაწილში (სტ.2=სტ.1\*7%).“.

4. 41-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 41. მოგების გადასახადის დეკლარაციის (დანართი №II-09) შევსება“.

5. 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-20 პუნქტი:

„20. 2019 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგენს №II-09 დანართის მიხედვით.“.

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი



**ბიზნეს ინტელექტი**



<b>მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია</b>											
<b>ნაწილი I</b>											
1	გადამხდელი	დასახელება									
2	კმ										
3	დეკლარაციის სახე პირველადი		შეზღვევით		4	წელი					
					5	თვე					
6	საქმიანობის სტატუსი	1	რეზიდენტი საქართველოში								
		2	არარეზიდენტი საქართველოში მდგომარეობის დასაბუთება								
<b>შეზღვევის თანხის აღრიცხვა</b>											
7	შესახარით										
8	საქმიანობის სახე	ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი სრულად									
9	ლიკვიდაციის თარიღზე გადაწყვეტილების მიღების თარიღი										
10	რეორგანიზაციის თარიღი										
<b>ნაწილი II</b>											
<i>სომხის საავტონომიო ორგანიზაციის მიერ</i>											
11	საგადასახადო ორგანიზაციის დასახელება										
12	დეკლარაციის მიღების თარიღი										
13	თანდართული დოკუმენტი		შტატის								
14	რეგისტრაციის ნომერი										
15	დეკლარაციის მიღების გარი, სახელი										
დეკლარაციის მიღების ხელმოწერა											
<b>შეიშვს:</b>											
1. მოგების გადასახადის გადახდელის მიერ დეკლარაცია საგადასახადო ორგანიზაციის წარდგინება:											
ა) სამკარნო თვის შედეგების მიხედვით - არსებობს სამკარნო თვის მიხედვით თვის 15 რიგების:											
ბ) ლიკვიდაციის შემთხვევაში, სალიკვიდაციო კომისიის მიერ - ლიკვიდაციის თარიღზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში.											
2. ნაწილი II იჭებს დეკლარაციის გადასახადის ფორმის წარმოდგენის შემთხვევაში.											







**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №6**

2017 წლის 13 იანვარი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის XV თავის შემდეგ დაემატოს XV<sup>1</sup> თავი შემდეგი რედაქციით:

**„თავი XV<sup>1</sup>. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებელსა და განაწილების ლიცენზიატს შორის გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის დღგ-ით დაბეგვრის წესი**

**მუხლი 641. ამ თავის რეგულირების სფერო**

წინამდებარე თავით რეგულირდება მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებელსა და განაწილების ლიცენზიატს შორის გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერჯის გადადინების შედეგად წარმოშობილი დღგ-ით დაბეგვრის საკითხები.

**მუხლი 64<sup>2</sup>. ტერმინთა განმარტება**

ამ თავში გამოყენებული ტერმინები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში, კერძოდ:

ა) მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური – საცალო მომხმარებლის მფლობელობაში არსებული განახლებადი ენერჯის წყარო, რომელიც მიერთებულია ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის მოხმარების ადგილას და რომლის სიმძლავრე არ აღემატება 100 კილოვატს;

ბ) გამანაწილებელი ქსელი – ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გამანაწილებელი საშუალება, რომელიც აკავშირებს მიწოდების პუნქტებსა და მომხმარებელს. გამანაწილებელი ქსელი მოიცავს 0,4-3,3-6-10-35-110 კილოვოლტი ძაბვის ქსელებს, გარდა „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გამონაკლისებისა.



გ) მომხმარებელი – პირდაპირი მომხმარებელი ან საცალო მომხმარებელი;

დ) პირდაპირი მომხმარებელი – პირი, რომელიც ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების, გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატის კუთვნილი ქსელიდან „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრისწესებით“ დადგენილი წესებისა და პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში და რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი;

ე) საცალო მომხმარებელი – პირი, რომელიც ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების, გადაცემის ან განაწილების ქსელიდან, მოიხმარს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ არის პირდაპირი მომხმარებელი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი (ლიცენზიატი) – პირი, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მინიჭებული აქვს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება.

**მუხლი 64<sup>3</sup>. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული და გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის დღ-ით დაბეგვრა**

1. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებელთან აღრიცხვა-ანგარიშსწორების წესი, რეგულირდება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების 25<sup>2</sup> მუხლის მიხედვით, რომლის შესაბამისადაც:

ა) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული და გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგიის რაოდენობა აღემატება იმავე საანგარიშო პერიოდში შესაბამისი საცალო მომხმარებლის მიერ ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობას, სხვაობა (ქსელში მიწოდებული ჭარბი ელექტროენერგია) ჩაითვლება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებულ ელექტროენერგიად და მომდევნო თვის ანგარიშსწორების ქვითარში აისახება კრედიტის სახით (ასეთ შემთხვევაში, განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის რეალიზაცია არის ნულის ტოლი);

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული (გამანაწილებელ ქსელში გადადინებული) და კრედიტის სახით ანგარიშსწორების ქვითარში ასახული (გამანაწილებელ ქსელში გადადინებული) ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობა ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში შესაბამისი საცალო მომხმარებლის მიერ ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, სხვაობა ჩაითვლება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მოხმარებულ (შესყიდულ) ელექტროენერგიად, რომელსაც უნდა დაერიცხოს კომისიის მიერ დადგენილი სამომხმარებლო ტარიფი (შესაბამისად, აღნიშნული სხვაობით მიღებული ელექტროენერგია ჩაითვლება განაწილების ლიცენზიატის რეალიზაციად);



გ) საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის მიერ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგია ჩაითვლება განაწილების ლიცენზიატის მიერ შესყიდულად. შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, საცალო მომხმარებელთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება, შესაბამისი განაწილების ლიცენზიატის სამომხმარებლო ტარიფში კომისიის მიერ გათვალისწინებული, შესყიდული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასით.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ც“ ქვეპუნქტის მიხედვით, ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება, გარდა ელექტროენერგიის მომხმარებლისათვის („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირობისათვის) მიწოდებისა, აგრეთვე გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურება.

**მაგალითი N1**

**ფაქტობრივი გარემოება**

ნეტო მრიცხველის მონაცემების მიხედვით მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის (შემდგომში – საცალო მომხმარებელი) მიერ კალენდარული თვეების მიხედვით გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგიის და გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობამ კალენდარული წლის მონაცემებით შეადგინა შემდეგი:

N	საანგარიშო თვე	საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელ-ენერგია კვტსთ	საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელ-ენერგია კვტსთ	საღდო კვტსთ	წინა თვეში კრედიტის სახით ასახული კვტსთ	საღდო წინა თვის კრედიტის გათვალისწინებით	ფაქტობრივი დარიცხვა კვტსთ
1	იანვარი	50	260	-210	0	-210	210
2	თებერვალი	80	130	-50	0	-50	50
3	მარტი	90	70	+20	0	+20	0
4	აპრილი	130	240	-110	+20	-90	90
5	მაისი	140	105	+35	0	+35	0
6	ივნისი	90	65	+25	+35	+60	0
7	ივლისი	80	170	-90	+60	-30	30
8	აგვისტო	200	180	+20	0	+20	0
9	სექტემბერი	220	290	-70	+20	-50	50
10	ოქტომბერი	165	195	-30	0	-30	30
11	ნოემბერი	140	90	+50	0	+50	0
12	დეკემბერი	160	170	-10	+50	+40	0
	წლის კალენდარული მონაცემი	1545	1965			40	460



### ანალიზი

იმის გათვალისწინებით, რომ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებლისა და განაწილების ლიცენზიატს შორის გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერჯის რაოდენობის გაანგარიშება რეგულირდება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით, მოცემული მაგალითის მიხედვით, საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით, უნდა ვიხელმძღვანელოთ აღნიშნული დადგენილების 25<sup>2</sup> მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების მიხედვით.

1. წარმოდგენილი მაგალითის მიხედვით, პირველ, მე-2 და მე-10 თვეებში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერჯია ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე.

შესაბამისად, ელექტროენერჯის ქსელში გადადინების შედეგად მიღებული სხვაობები ჩაითვლება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მოხმარებულ (შესყიდულ) ელექტროენერჯიად.

#### მოცემულ საანგარიშო პერიოდებში:

**საცალო მომხმარებლის** მიერ ელექტროენერჯის მიწოდებას ადგილი არ აქვს. შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.

**განაწილების ლიცენზიატის** მიერ ხდება საცალო მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის მიწოდება, რაც წარმოადგენს დღგ-ით დაბეგვრის ობიექტს. ამასთან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერჯის გადადინების შედეგად წარმოშობილი მხოლოდ დადებითი სხვაობები, კერძოდ:

იანვარში – 210 კვტ/სთ

თებერვალში – 50 კვტ/სთ

ოქტომბერში – 30 კვტ/სთ

2. მე-4, მე-7 და მე-9 თვეებში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერჯია და კრედიტის სახით ანგარიშსწორების ქვითარში ასახული ელექტროენერჯის ჯამური რაოდენობები ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშსწორებო ქვითარში საცალო მომხმარებელს წინა საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელ ქსელში ჭარბი ელექტროენერჯის გადადინების შედეგად უფიქსირდება



ელექტროენერგია კრედიტის სახით, გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობები აღემატება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებულ და კრედიტის სახით არსებულ ჯამურ რაოდენობას.

შესაბამისად, მიღებული სხვაობები ჩაითვლება საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მოხმარებულ (შესყიდულ) ელექტროენერგიად.

**მოცემულ საანგარიშო პერიოდებში:**

**საცალო მომხმარებლის** მიერ ელექტროენერგიის მიწოდებას ადგილი არ აქვს. შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.

**განაწილების ლიცენზიატის** მიერ ხდება ელექტროენერგიის მიწოდება, რაც წარმოადგენს დღგ-ით დაბეგვრის ობიექტს. ამასთან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის გადადინების შედეგად წარმოშობილი მხოლოდ დადებითი სხვაობები, კერძოდ:

აპრილში – 90 კვტ/სთ

ივლისში – 30 კვტ/სთ

სექტემბერში – 50 კვტ/სთ.

3. მე-3, მე-5, მე-8 და მე-11 თვეში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია აღემატება იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობას. ამასთან, მოცემულ საანგარიშო პერიოდებში საცალო მომხმარებელს საანგარიშსწორებო ქვითარში არ უფიქსირდება კრედიტის სახით ასახული ელექტროენერგია.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერგია მეტია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, წარმოშობილი ჭარბი ელექტროენერგები ჩაითვლება როგორც საცალომომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებულ ელექტროენერგიად და შემდგომი თვის ანგარიშსწორების ქვითარში აისახება კრედიტის სახით.

**მოცემულ საანგარიშო პერიოდებში:**

**საცალო მომხმარებლის** მიერ მოცემულ საანგარიშო პერიოდებში ელექტროენერგიის მიწოდებას ადგილი არ აქვს, გამომდინარე იქედან, რომ მხოლოდ საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული ჭარბი ელექტროენერგია ითვლება განაწილების ლიცენზიატის მიერ შესყიდულად და საცალო მომხმარებლის მიერ მიწოდებულად (საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული ჭარბი ელექტროენერგიის შემთხვევაში).

ამდენად, საცალო მომხმარებელს არ წარმოეშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.



**განაწილების ლიცენზიატის** მიერ არ ხდება ელექტროენერჯის მიწოდება. შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.

4. მე-6 თვეში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერჯია აღემატება იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობას. ამასთან, მოცემულ საანგარიშო პერიოდებში საცალო მომხმარებელს საანგარიშსწორებო ქვითარში უფიქსირდება მე-5 თვეში კრედიტის სახით ასახული ელექტროენერჯია - 35 კვტ/სთ.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერჯია მეტია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე, წარმოშობილი ჭარბი ელექტროენერჯია ჩაითვლება, როგორც საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში მიწოდებულ ელექტროენერჯი და წინა საანგარიშო პერიოდში კრედიტის სახით ასახული ელექტროენერჯის გათვალისწინებით აისახება შემდგომი თვის ანგარიშსწორების ქვითარში – კრედიტის სახით.

**მოცემულ საანგარიშო პერიოდებში:**

**საცალო მომხმარებლის** მიერ ელექტროენერჯის მიწოდებას ადგილი არ აქვს, გამომდინარე იქედან, რომ მხოლოდ საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული ჭარბი ელექტროენერჯია ითვლება განაწილების ლიცენზიატის მიერ შესყიდულად და საცალო მომხმარებლის მიერ მიწოდებულად (საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში კრედიტის სახით ასახული ჭარბი ელექტროენერჯის შემთხვევაში).

ამდენად, საცალო მომხმარებელს არ წარმოეშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.

**განაწილების ლიცენზიატის** მიერ არ ხდება ელექტროენერჯის მიწოდება. შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.

5. საანგარიშო წლის ბოლო თვეში – დეკემბრის თვეში, მიკროსიმპლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერჯია ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე. ამასთან, მოცემულ საანგარიშო პერიოდში საცალო მომხმარებელს საანგარიშსწორებო ქვითარში უფიქსირდება ნოემბრის თვეში კრედიტის სახით ასახული ელექტროენერჯია – 50 კვტ/სთ.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ დეკემბრის თვეში საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში გადადინებული ელექტროენერჯია ნაკლებია იმავე საანგარიშო პერიოდში გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე, წინა თვის საანგარიშსწორებო ქვითარში კრედიტის სახით ასახული ელექტროენერჯის გათვალისწინებით, საცალო მომხმარებელს საანგარიშო წლის ბოლო თვის ანგარიშსწორების ქვითარში აისახება ელექტროენერჯია კრედიტის სახით, რომელიც ჩაითვლება როგორც განაწილების ლიცენზიატის მიერ შესყიდულად.



**მოცემულ საანგარიშო პერიოდში:**

საცალო მომხმარებლის მიერ ხდება განაწილების ლიცენზიატისთვის ელექტროენერჯის მიწოდება. შესაბამისად, წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი. თუმცა, გასათვალისწინებელია საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ც“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატისთვის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლებით. შესაბამისად, საცალო მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის მიწოდება გათავისუფლდება დღგ-ისგან.

განაწილების ლიცენზიატის მიერ არ ხდება ელექტროენერჯის მიწოდება. შესაბამისად, არ წარმოიშობა დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი





## შემოსავლების სამსახურის უფროსის

### ბრძანება №6394

2017 წლის 10 მარტი, ქ. თბილისი

**„გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე „შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის №13446 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდური მითითების მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) თუ მიღებული გადაწყვეტილებით საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველი, გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, დროებითი ბარათიდან სადავო თანხები ავტომატურ რეჟიმში გადატანილი უნდა იქნეს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე. ამასთან, საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში სადავო თანხები დარჩება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე საბოლოო გადაწყვეტილების (კანონიერ ძალაში შესული) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის/შემოსავლების სამსახურისათვის ჩაბარებამდე. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო გადაწყვეტილებით დადგინდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს/შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განხილვა, სადავო თანხები გადაიტანება ავტომატურ რეჟიმში კვლავ დროებით ბარათზე.“

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის თანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გ. თაბუაშვილი

**შემოსავლების სამსახურის უფროსის****ბრძანება №5828**

2017 წლის 6 მარტი, ქ. თბილისი

**„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა.ა) მე-2 მუხლის:

ა.ა.ა) მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. გრაფა 15 – „გამომგზავნი ქვეყანა“ – მიეთითება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის დასახელება და კოდი (ციფრული) კლასიფიკატორის №3 ნაწილის შესაბამისად.

11. გრაფა 17 – „დანიშნულების ქვეყანა“ – მიეთითება იმ ქვეყნის დასახელება და კოდი (ციფრული), კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სადაც სატრანსპორტო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ინფორმაციით დასრულდება საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა (რამდენიმე დანიშნულების ქვეყნის არსებობის შემთხვევაში მიეთითება პირველი).“;

ა.ა.ბ) მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეორე განყოფილებაში ეთითება სატრანსპორტო საშუალების (რკინიგზის ვაგონების გარდა) რეგისტრაციის/მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როცა:

ბ.ა) სატრანსპორტო საშუალება შედგება რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებისაგან, მიეთითება გამწევი სატრანსპორტო საშუალების (საწევარას) რეგისტრაციის/მფლობელი ქვეყნის კოდი;

ბ.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება მოხსნილია რეგისტრაციიდან, მიეთითება დროებითი სანომრე ნიშნის გამცემი ქვეყნის კოდი.“;



ა.ა.გ) მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეორე ნაწილში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების (რკინიგზის ვაგონების გარდა) რეგისტრაციის/მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის მიხედვით; თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება მოხსნილია რეგისტრაციიდან – დროებითი სანომრე ნიშნის გამცემი ქვეყნის კოდი.“;

ა.ა.დ) 26-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დანიშნულების ქვეყანა – ეთითება იმ ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის მიხედვით, სადაც სატრანსპორტო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ინფორმაციით დასრულდება საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა. საქართველოს შემთხვევაში, აღნიშნული გრაფა არ ივსება.“;

ა.ბ) მე-13 მუხლის:

ა.ბ.ა) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. გრაფა 18 „სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე“ – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც ხდება საქონლის მიწოდება გაფორმების ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, სარკინიგზო ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე“. განაცხადის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები.“;

ა.ბ.ბ) 21-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„21. გრაფა 21 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისისა და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვა ამგვარი მონაცემები). გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე“. განაცხადის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები. გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.“;

ა.გ) 35-ე მუხლის:

ა.გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იმპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას დეკლარანტი ავსებს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შემდეგ გრაფებს: **A, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 11, 12, 13, 14, 15, 15ა, 15ბ, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 49, 54, B.**“;

ა.გ.ბ) მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 14<sup>1</sup> პუნქტი:



„14<sup>1</sup>. გრაფა 15<sup>ბ</sup> „გამომგზავნი ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება საქონლის საქართველოში გამომგზავნი ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.“;

ა.გ.გ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. გრაფა 16. „წარმოშობის ქვეყანა“ – ჩაიწერება საქონლის წარმოშობის ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარირდება რამდენიმე დასახელების საქონელი, რომელთაც წარმოშობის განსხვავებული ქვეყნები აქვთ, გრაფაში ჩაიწერება „სხვადასხვა“, ხოლო თუ დეკლარაციის ძირითადი ფურცლის 34<sup>ა</sup> გრაფაში მითითებულია „999“, მე-16 გრაფაში საქონლის წარმოშობის ქვეყნის მოკლე დასახელების ნაცვლად აღინიშნება „999“.“;

ა.გ.დ) მე-17 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 17<sup>1</sup> პუნქტი:

„17<sup>1</sup>. გრაფა 17<sup>ბ</sup> „დანიშნულების ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.“;

ა.გ.ე) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. გრაფა 18 „სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე“ – გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც ხდება საქონლის მიწოდება გაფორმების საგადასახადო ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, სარკინიგზო ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე“. დეკლარაციის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები.“;

ა.გ.ვ) 21-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„21. გრაფა 21 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისისა და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვა ამგვარი მონაცემები). გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე“. დეკლარაციის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები (მაგალითად: 23 რკინიგზ. ვაგ. - იხ. უკანა გვერდზე). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.“;

ა.გ.ზ) 33-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„33. გრაფა 34<sup>ა</sup> „წ.ქ. კოდი“ – აღინიშნება საქონლის წარმოშობის ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ შეუძლებელია საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა, გრაფაში მიეთითება – „999“.“;

ა.გ.თ) 33-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 33<sup>1</sup> პუნქტი:



„33<sup>1</sup>. გრაფა 34ბ „წ.ქ. კოდი” – აღინიშნება საქონლის წარმოშობის ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ შეუძლებელია საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა, გრაფა არ ივსება.“;

ა.გ.ი) 35-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქონელი წარმოშობილია ქვეყანაში, რომელთანაც დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებას, გრაფაში აღინიშნება ამ ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად“;

ა.დ) 36-ე მუხლის:

ა.დ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 3, 5, 6, 7, 16, 19, 20, 22, 23, 24, 25, 26, 28, 30, 31, 32, 33, 34, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 43, 46, 47, 48, 49, 54, A, B, C ივსება იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი ექსპორტში ექცევა უკან დაბრუნების პირობით, 31-ე გრაფაში ჩაიწერება სიტყვები: „დაბრუნების პირობით“.“;

ა.დ.ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7<sup>1</sup> პუნქტი:

„7<sup>1</sup>. გრაფა 17ბ „დანიშნულების ქვეყნის კოდი” – გრაფაში აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.“;

ა.დ.გ) მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. გრაფა 18 „სატრანსპორტო საშუალება გაგზავნის ადგილზე“ – გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და შემდეგ აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლებზეც საქონელი დაიტვირთება საქართველოს საბაჟო საზღვარზე (საბაჟო გამშვებ პუნქტში) მისატანად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე“; დეკლარაციის სამივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები; (მაგალითად: 01 ა/მ RS-000-GE. 23 რკინიგზ. ვაგ. - იხ. უკანა გვერდზე.) გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ საქონელი გადაიზიდება სხვადასხვა ქვეყნებში რეგისტრირებული რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით, მაშინ ქვეყნის კოდის მაგივრად ჩაიწერება – „000“.

9. გრაფა 21 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და შემდეგ აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც საქონელი ფაქტობრივად გადაკვეთს საბაჟო საზღვარს (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, საგზაო ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ საქონელი გადაიზიდება სხვადასხვა ქვეყნებში რეგისტრირებული რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით, მაშინ ჩაიწერება – „000“. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე“. დეკლარაციის სამივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე



დეკლარაცია ივსება სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე გრაფაში მიეთითება „255“;

ა.ე) 37-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 14, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 43, 44, 46, 48, 49, 54, A და C ივსება საქონლის ექსპორტში დეკლარირებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.“;

ა.ვ) 38-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საწყობის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 14, 15, 15ა, 15ბ, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48, 54, A, B და C ივსება იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.“;

ა.ზ) 39-ე მუხლის:

ა.ზ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 13, 14, 15, 15ა, 15ბ, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 54, A, B და C ივსება იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.“;

ა.ზ.ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის:

ა) პირველ ნაწილში მიეთითება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი იმ შემთხვევაში, თუ დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებამდე საქონლის მიმართ გამოიყენებოდა საწყობის სასაქონლო ოპერაცია;

ბ) მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის დროებითი შემოტანის ვადა დღეებში.“;

ა.თ) მე-40 მუხლის:

ა.თ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 13, 12, 14, 15, 15ა, 15ბ, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 54, A, B და C ივსება იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.“;

ა.თ.ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის:

ა) პირველ ნაწილში მიეთითება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი იმ შემთხვევაში, თუ შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებამდე საქონლის მიმართ გამოიყენებოდა საწყობის სასაქონლო ოპერაცია;

ბ) მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შიდა გადამუშავების ვადა დღეებში.“;

ა.ი) 41-ე მუხლის:

ა.ი.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„1. გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 14, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 44, 46, 47, 48, 54, A და C ივსება ექსპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.“;

ა.ი.ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის გარე გადამუშავების ვადა დღეებში.“;

ა.კ) 42-ე მუხლის:

ა.კ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას დეკლარანტი ავსებს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შემდეგ გრაფებს: A, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 14, 15, 15ა, 15ბ, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 21, 25, 29, 31, 32, 33, 35, 37, 38, 40, 41, 44, 49, 50, 54. გრაფების: 9, 11, 16, 20, 22, 23, 24, 26, 27, 28, 30, 34ა, 34ბ, 36, 39, 42, 43, 46, 47 შევსება სავალდებულო არ არის და ივსება დეკლარანტის სურვილის შემთხვევაში, იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.“;

ა.კ.ბ) მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12<sup>1</sup> პუნქტი:

„12<sup>1</sup>. გრაფა 15ბ. „გამომგზავნი ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.“;

ა.კ.გ) მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 14<sup>1</sup> პუნქტი:

„14<sup>1</sup>. გრაფა 17ბ. „დანიშნულების ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.“;

ა.კ.დ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. გრაფა 18 „სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე“ – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც ხდება საქონლის მიწოდება დანიშნულების საგადასახადო ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი, სარკინიგზო ვაგონის ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება - „იხ. უკანა გვერდზე“; დეკლარაციის სამივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები, მაგალითად: „23 რკინიგზ. ვაგ. - იხ. უკანა გვერდზე“.“;

ა.კ.ე) მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. გრაფა 21 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისისა და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი, და სხვა ამგვარი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.“;





ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაწილი 3. ქვეყნების, ტერიტორიებისა და ვალუტების კლასიფიკატორი

ქვეყნის ციფრული კოდი	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ქვეყნის ასოთი კოდი	ვალუტის დასახელება	ვალუტის კოდი	
				ასოთი	ციფრული
036	ავსტრალია	AU	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
040	ავსტრია	AT	ევრო	EUR	978
004	ავღანეთი	AF	ავღანი	AFN	971
031	აზერბაიჯანი	AZ	აზერბაიჯანული მანათი	AZM	031
248	ალანდის კუნძულები	AX	ევრო	EUR	978
008	ალბანეთი	AL	ლეკი	ALL	008
012	ალჟირი	DZ	ალჟირული დინარი	DZD	012
016	ამერიკის სამოა	AS	აშშ დოლარი	USD	840
840	ამერიკის შეერთებული შტატები	US	აშშ დოლარი	USD	840
024	ანგოლა	AO	კვანზა	AOA	973
660	ანგუილა	AL	ადმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
020	ანდორა	AD	ევრო	EUR	978
010	ანტარქტიდა	AQ			
028	ანტიგუა-ბარბუდა	AG	ადმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
784	არაბთა გაერთიანებული სამიროები	AE	დირჰემი	AED	784
032	არგენტინა	AR	არგენტინული პესო	ARS	032
533	არუბა	AW	არუბული გულდენი	AWG	533
554	ახალი ზელანდია	NZ	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
540	ახალი კალედონია	NC	ფრანკი CFP	XPF	953
050	ბანგლადეში	BD	ტაკა	BDT	050
052	ბარბადოსი	BB	ბარბადოსული დოლარი	BBD	052
044	ბაჰამები	BS	ბაჰამური დოლარი	BmD	044
048	ბაჰრეინი	BH	ბაჰრეინული დინარი	BHD	048
112	ბელარუსი	BY	ბელარუსული რუბლი	BYR	112
056	ბელგია	BE	ევრო	EUR	978
084	ბელიზი	BZ	ბელიზური დოლარი	BmD	084



204	ბენინი	BJ	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
060	ბერმუდა	BM	ბერმუდული დოლარი	BMD	060
068	ბოლივია	BO	ბოლივიანო	BOB	068
535	ბონეირი, სინტ-ესტატიუსი და საბა	BQ	აშშ დოლარი	USD	840
070	ბოსნია-ჰერცეგოვინა	BA	კონვერტირებადი მარკა	BAM	977
072	ბოტსვანა	BW	ფულა	BWP	072
076	ბრაზილია	BR	ბრაზილიური რელი	BRL	986
086	ბრიტანეთის ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში	IO	აშშ დოლარი	USD	840
096	ბრუნეი-დარუსალამი	BN	ბრუნეის დოლარი	BND	096
100	ბულგარეთი	BG	ლევი	BGN	975
074	ბუვეს კუნძული	BV	ნორვეგიული კრონა	NOK	578
854	ბურკინა-ფასო	BF	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
108	ბურუნდი	BI	ბურუნდული ფრანკი	BIF	108
064	ბუტანი	BT	ნგულტრუმი	BTN	064
			ინდური რუპი	INR	356
266	გაბონი	GA	ფრანკი CFA BCEAO	XAF	950
826	გაერთიანებული სამეფო	GB	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
328	გაიანა	GY	გაიანური დოლარი	GYD	328
270	გამბია	GM	დალასი	GMD	270
288	განა	GH	სედი	GHC	288
276	გერმანია	DE	ევრო	EUR	978
831	გერნზი	GG	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
312	გვადელუპა	GP	ევრო	EUR	978
320	გვატემალა	GT	ქვეთსალი	GTQ	320
324	გვინეა	GN	გვინეური ფრანკი	GNF	324
624	გვინეა-ბისაუ	GW	გვინეა-ბისაუს პესო	GWP	624
292	გიბრალტარი	GI	გიბრალტარული ფუნტი	GIP	292
308	გრენადა	GD	ადმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
304	გრენლანდია	GL	დანიური კრონა	DKK	208
316	გუამი	GU	აშშ დოლარი	USD	840
208	დანია	DK	დანიური კრონა	DKK	208
732	დასავლეთი საჰარა	EH	მაროკული დირჰემი	MAD	504
212	დომინიკა	DM	ადმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951



214	დომინიკელთა რესპუბლიკა	DO	დომინიკანური პესო	DOP	214
818	ეგვიპტე	EG	ეგვიპტური ფუნტი	EGP	818
150	ევროპა				
231	ეთიოპია	ET	ეთიოპიური ბირი	ETB	230
218	ეკვადორი	EC	აშშ დოლარი	USD	840
226	ეკვატორული გვინეა	GQ	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
368	ერაყი	IQ	ერაყული დინარი	IQD	368
232	ერიტრეა	ER	ნაკფა	ERN	232
724	ესპანეთი	ES	ევრო	EUR	978
233	ესტონეთი	EE	კრონი	EEK	233
548	ვანუატუ	VU	ვატუ	VUV	548
862	ვენესუელა	VE	ბოლივარი	VEB	862
704	ვიეტნამი	VN	დონგი	VND	704
850	ვირჯინის კუნძულები, აშშ	VI	აშშ დოლარი	USD	840
092	ვირჯინის კუნძულები, ბრიტანეთი	VG	აშშ დოლარი	USD	840
894	ზამბია	ZM	კვანა	ZMK	894
716	ზიმბაბვე	ZW	ზიმბაბვის დოლარი	ZWD	716
796	თურქის და ქაიქოსის კუნძულები	TC	აშშ დოლარი	USD	840
792	თურქეთი	TR	თურქული ლირა	TRL	792
795	თურქმენეთი	TM	მანათი	TMM	795
388	იამაიკა	JM	იამაიკური დოლარი	JMD	388
392	იაპონია	JP	იენი	JPY	392
887	იემენი	YE	იემენის რიალი	YER	886
356	ინდოეთი	IN	ინდური რუპი	INR	356
360	ინდონეზია	ID	ინდონეზიური რუპი	IDR	360
400	იორდანია	JO	იორდანული დინარი	JOD	400
364	ირანი, ისლამური რესპუბლიკა	IR	ირანული რიალი	IRR	364
372	ირლანდია	IE	ევრო	EUR	978
352	ისლანდია	IS	ისლანდიური კრონა	ISK	352
376	ისრაელი	IL	ახალი ისრაელური შეკელი	ILS	376
380	იტალია	IT	ევრო	EUR	978
132	კაბო-ვერდე	CV	კაბოვერდეს ესკუდო	CVE	132
136	კაიმანის კუნძულები	KY	კაიმანის კუნძულების დოლარი	KYD	136
116	კამბოჯა	KH	რეილი	KHR	116



120	კამერუნი	CM	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
124	კანადა	CA	კანადური დოლარი	CAD	124
404	კენია	KE	კენიური შილინგი	KEŠ	404
196	კვიპროსი	CY	კვიპროსული ფუნტი	CYP	196
296	კირიბატი	KI	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
531	კიურასაო	CW	ნიდერლანდის ანტილესის გვილდენი	ANG	532
170	კოლუმბია	CO	კოლუმბიური პესო	COP	170
174	კომორები	KM	კომორების ფრანკი	KMF	174
178	კონგო	CG	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
180	კონგო, დემოკრატიული რესპუბლიკა	CG	კონგოს ფრანკი	CDF	976
410	კორეა, რესპუბლიკა	KR	ვონი	KRW	410
408	კორეა, სახალხო- დემოკრატიული რესპუბლიკა	KP	ჩრდილო-კორეული ვონი	KPW	408
188	კოსტა-რიკა	CR	კოსტარიკული კოლონი	CRC	188
384	კოტ-დივუარი	CI	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
192	კუბა	CU	კუბური პესო	CUP	192
184	კუკის კუნძულები	CK	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
833	კუნძული მენი	IM	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
418	ლავოსის სახალხო- დემოკრატიული რესპუბლიკა	LA	კიპი	LAK	418
428	ლატვია	LV	ლატვიური ლატი	LVL	428
426	ლესოთო	LS	ლოტი	LSL	426
			რენდი	ZAR	710
422	ლიბანი	LB	ლიბანური ფუნტი	LBP	422
430	ლიბერია	LR	ლიბერიული დოლარი	LRD	430
434	ლიბია	LY	ლიბიური დინარი	LYD	434
440	ლიტვა	LT	ლიტვური ლიტი	LTL	440
438	ლიხტენშტაინი	LI	შვეიცარიული ფრანკი	CHF	756
442	ლუქსემბურგი	LU	ევრო	EUR	978
450	მადაგასკარი	MG	მალაგასიური ფრანკი	MGF	450
480	მავრიკი	MU	მავრიკიული რუპი	MUR	480
478	მავრიტანია	MR	უგია	MRO	478
446	მაკაუ	MO	პატაკა	MOP	446
807	მაკედონია, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა	MK	დინარი	MKD	807
454	მალავი	MW	კვანა	MqK	454
458	მალაიზია	MY	მალაიზიური რინგიტი	MYR	458
462	მალდივები	MV	რუფია	MVR	462
466	მალი	ML	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
470	მალტა	MT	მალტური ლირა	MTL	470



504	მაროკო	MA	მაროკოული დირჰემი	MAD	504
474	მარტინიკა	MQ	ევრო	EUR	978
584	მარშალის კუნძულები	MH	აშშ დოლარი	USD	840
175	მეიოტი	YT	ევრო	EUR	978
484	მექსიკა	MX	მექსიკური პესო	MXN	484
104	მიანმარი	MM	კიატი	MMK	104
583	მიკრონეზია, ფედერალური შტატები	FM	აშშ დოლარი	USD	840
508	მოზამბიკი	MZ	მეტეკალი	MZM	508
498	მოლდოვა	MD	მოლდოვური ლეი	MDL	498
492	მონაკო	MC	ევრო	EUR	978
500	მონსერატი	MS	ადმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
499	მონტენეგრო	ME	ევრო	EUR	978
496	მონღოლეთი	MN	ტუგრიკი	MNT	496
516	ნამიბია	NA	რენდი	ZAR	710
			ნამიბიური დოლარი	NAD	516
520	ნაურუ	NR	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
524	ნეპალი	NP	ნეპალის რუპი	NPR	524
562	ნიგერი	NE	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
566	ნიგერია	NG	ნაირა	NGN	566
528	ნიდერლანდები	NL	ევრო	EUR	978
558	ნიკარაგუა	NI	კორდობა ორო	NIO	558
570	ნიუე	NU	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
578	ნორვეგია	NO	ნორვეგიული კრონა	NOK	578
574	ნორფოლკის კუნძული	NF	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
512	ომანი	OM	ომანის რიალი	OMR	512
586	პაკისტანი	PK	პაკისტანური რუპია	PKR	586
585	პალაუ	PW	აშშ დოლარი	USD	840
275	პალესტინის სახელმწიფო	PS	ახალი ისრაელური შეკელი ეგვიპტური ფუნტი იორდანული დინარი აშშ დოლარი	ILS EGP JOD USD	376 818 400 840
591	პანამა	PA	აშშ დოლარი	USD	840
598	პაპუა-ახალიგვინეა	PG	კინა	PGK	598
600	პარაგვაი	PY	გვარანი	PYG	600
604	პერუ	PE	ახალი სოლი	PEN	604
612	პიტკერნი	PN	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554



616	პოლონეთი	PL	ზლოტი	PLN	985
620	პორტუგალია	PT	ევრო	EUR	978
630	პუერტო-რიკო	PR	აშშ დოლარი	USD	840
638	რეიუნიონი	RE	ევრო	EUR	978
646	რუანდა	RW	რუანდის ფრანკი	RWF	646
642	რუმინეთი	RO	ლეი	ROL	642
643	რუსეთის ფედერაცია	RU	რუსული რუბლი	RUB	643
300	საბერძნეთი	GR	ევრო	EUR	978
222	სალვადორი	SV	სალვადორული კოლონი	SVC	222
			აშშ დოლარი	USD	840
882	სამოა	WS	ტალა	WST	882
710	სამხრეთი აფრიკა	ZA	რენდი	ZAR	710
728	სამხრეთი სუდანის	SS	სამხრეთ სუდანური ფუნტი	SSP	728
239	სამხრეთი ჯორჯია და სამხრეთი სენდვიჩის კუნძულები	GS	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
674	სან-მარინო	SM	ევრო	EUR	978
678	საუ-ტომე და პრინსიპი	ST	დობრა	STD	678
682	საუდების არაბეთი	SA	საუდური რიალი	SAR	682
250	საფრანგეთი	FR	ევრო	EUR	978
254	საფრანგეთის გვიანა	GF	ევრო	EUR	978
260	საფრანგეთის სამხრეთი ტერიტორიები	TF	ევრო	EUR	978
258	საფრანგეთის პოლინეზია	PF	ფრანკი CFP	XPF	953
268	საქართველო	GE	ლარი	GEL	981
690	სეიშელები	SC	სეიშელის რუპი	SCR	690
652	სენ-ბარტელემი	BL	ევრო	EUR	978
686	სენეგალი	SN	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
663	სენ-მარტინი (საფრანგეთის ნაწილი)	MF	ევრო	EUR	978
670	სენტ-ვინსენტი და გრენადინები	VC	ადმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
659	სენტ-კიტსი და ნევისი	KN	ადმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
662	სენტ-ლუსია	LC	ადმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
666	სენ-პიერი დამიკლონი	PM	ევრო	EUR	978
688	სერბეთი	RS	სერბიული დინარი	CSD	891
748	სვაზილენდი	SZ	ლილანგენი	SZL	748
744	სვალბარდი და იან-მაიენი	SJ	ნორვეგიული კრონა	NOK	578



694	სიერა-ლეონე	SL	ლეონე	SLL	694
702	სინგაპური	SG	სინგაპურის დოლარი	SGD	702
534	სინტ-მარტენი (ნიდერლანდის ნაწილი)	SX	ევრო	EUR	978
760	სირიის არაბთა რესპუბლიკა	SY	სირიული ფუნტი	SYP	760
703	სლოვაკეთი	SK	სლოვაკური კრონა	SKK	703
705	სლოვენია	SL	ტოლარი	SIT	705
090	სოლომონის კუნძულები	SB	სოლომონის კუნძულების დოლარი	SBD	090
706	სომალი	SO	სომალიური შილინგი	SOS	706
051	სომხეთი	AM	სომხური დრამი	AMD	051
729	სუდანი	SD	სუდანური დინარი	SDD	736
740	სურინამი	SR	სურინამული გულდენი	SRG	740
158	ტაივანი, ჩინეთის პროვინცია	TW	ახალი ტაივანური დოლარი	TWD	901
764	ტაილანდი	TH	ბატი	THB	764
834	ტანზანია, გაერთიანებული რესპუბლიკა	TZ	ტანზანიური შილინგი	TZS	834
762	ტაჯიკეთი	TJ	სომონი	TJS	972
626	ტიმორ-ლესტე	TL	აშშ დოლარი	USD	840
768	ტოგო	TG	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
772	ტოკელაუ	TK	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
776	ტონგა	TO	პანგა	TOP	776
780	ტრინიდადი დატობაგო	TT	ტრინიდად-ტობაგოს დოლარი	TTD	780
798	ტუვალუ	TV	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
788	ტუნისი	TN	ტუნისური დინარი	TND	788
800	უგანდა	UG	უგანდური შილინგი	UGX	800
860	უზბეკეთი	UZ	უზბეკური სუმი	UZS	860
804	უკრაინა	UA	გრივნა	UAH	980
348	უნგრეთი	HU	ფორინტი	HUF	348
876	უოლისი და ფუტუნა	WF	ფრანკი F	XPF	953
858	ურუგვაი	UY	ურუგვაის პესო	UYP	858
234	ფარერის კუნძულები	FO	დანიური კრონა	DKK	208
608	ფილიპინები	PH	ფილიპინური პესო	PHP	608
246	ფინეთი	FI	ევრო	EUR	978
242	ფიჯი	FJ	ფიჯის დოლარი	FJD	242
238	ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები	FK	ფოლკლენდის კუნძულების ფუნტი	FKP	238
166	ქოქოსის (კილინგის) კუნძულები	CC	ავსტრალიური დოლარი	AUD	036



414	ქუვეითი	KW	ქუვეითური დინარი	KWD	414
398	ყაზახეთი	KZ	ტენგე	KZT	398
634	ყატარი	QA	ყატარის რიალი	QAR	634
417	ყირგიზეთი	KG	სომი	KGS	417
581	შერთებული შტატების შორსმდებარე მცირე კუნძულები	UM	აშშ დოლარი	USD	840
756	შვეიცარია	CH	შვეიცარული ფრანკი	CHF	756
752	შვედეთი	SE	შვედური კრონა	SEK	752
162	შობის კუნძული	CX	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
144	შრი-ლანკა	LK	შრილანკური რუპი	LKR	144
148	ჩადი	TD	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
203	ჩეხეთი	CZ	ჩეხური კორუნა	CZK	203
152	ჩილე	CL	ჩილეს პესო	CLP	152
156	ჩინეთი	CN	იუანრენმინზი	CNY	156
580	ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები	MP	აშშ დოლარი	USD	840
140	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	CF	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
336	წმიდა საყდარი	VA	ევრო	EUR	978
654	წმინდა ელენე, ამალეუბა და ტრისტან-სა-კუნია	SH	სენტელენის ფუნტი	SHP	654
191	ხორვატია	HR	კუნა	HRK	191
832	ჯერზი	JE	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
262	ჯიბუტი	DJ	ჯიბუტის ფრანკი	DJF	262
332	ჰაიტი	HT	აშშ დოლარი	USD	840
334	ჰერდის კუნძული და მაკდონალდის კუნძულები	HM	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
340	ჰონდურასი	HN	ლემპირა	HNL	340
344	ჰონ-კონგი	HK	ჰონკონგური დოლარი	HKD	344
შენიშვნა:	ფრანკი C AC	ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოთა ბანკის ფულის ერთეული			
	ფრანკი C BCE	დასავლეთი აფრიკის სახელმწიფოთა ბანკის ფულის ერთეული			

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერიდან მე-10 დღეს.

შემოსავლების სამსახურის უფროსი  
გ. თაბუაშვილი





# გაგონიანად გადასახადები

მენეჯერის, სამართლებრივ  
ინსპექტორების, აუდიტორების,  
ბუღალტრებისა და ყველა მათგანგანის  
უნივერსალური სამომხმარებლო ფუნქციონალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი  
მიმღების IBAN ანგარიშის №:  
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"  
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

# ღიზინი ჰონიბიხაფია

- » ეტიკატიბი
- » ბუკლეტიბი
- » კლაკატიბი
- » შესაფუთი პაკეტიბი
- » ნიბნები